განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

შეფასების თარიღები
28-29 ოქტომბერი, 2021

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი
17 დეკემბერი, 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი, დონე 6
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი Bachelor of Political Science
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები; 0312
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული გადაწყვეტილება #18, 2018 წლის 26 იანვარი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა აბდალაძე, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ივანნა მაჩიტიძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა კუპრაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნის პროექტი

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სოციალურ მეცნიერებათა სკოლის (SSS) მიერ.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამა ოთხწლიანია და შედგება რვა სემესტრისგან. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი (ერთი კრედიტი წარმოადგენს 25 ასტრონომიულ საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.) 210 კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო კურსებისთვის (მათ შორის 10 კრედიტი დასკვნითი სასწავლო პროექტი VIII სემესტრში) და 30 კრედიტი არჩევითი (მათ შორის, 6 კრედიტი თავისუფალი არჩევითი) კურსებისთვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. სფეროს სფეციფიკისა და პროგრამის სილაბუსებში გამოყენებული ინგლისურენოვანი ლიტერატურის გათვალისწინებით, პროგრამის წინაპირობაში გათვალისწინებულია ინგლისური ენის ჩაბარების ვალდებულება. მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისთვის უსდ-ს დადგენილი აქვს შესაძლო დამატებითი მოთხოვნები (შიდა გამოცდა, დოკუმენტაციის განხილვა, გასაუბრება).

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასახავს ფართო თეორიული ცოდნის მიცემას (როგორც ზოგადად სფეროს შესახებ, ასევე ცალკეული ქვედარგებისა და მომიჯნავე ქვედარგების შესახებ) და უნარების გამომუშავებას. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია 3 კომპონენტით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს სთავაზობს მრავალფეროვან და საინტერესო სასწავლო კურსებს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით ნაწილში. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი აკადემიური და პრაქტიკული საქმიანობის ხანგრძლივი (მათ შორის, საერთაშორისო) გამოცდილებით.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი გაიმართა ონლაინ რეჟიმში ამა წლის 28-29 ოქტომბერს. დადგენილი დღის წესრიგის შესაბამისად, ინტერვიუები განხორციელდა უნივერსიტეტისა და სკოლის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, უნივერსიტეტისა და სკოლის ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან, უსდ კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის კოორდინატორთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან. ონლაინ ვიზიტის ფარგლებში მოხდა ზოგადი ინფრასტრუქტურისა და საბიბლიოთეკო რესურსების დათვალიერება. ონლაინ ვიზიტმა ჩაიარა კოლეგიალურ და კეთილგანწყობილ გარემოში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.2. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.3. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.5. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.6. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.4. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

2.2.

- **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსების „საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა“, „არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში“.
- **რეკომენდებულია,** პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სავალდებულო კურსები „პოლიტიკის თეორია“, „პოლიტიკური იდეოლოგიები“ სავალდებულო სასწავლო კურსების სახით.

2.3.

- **რეკომენდებულია,** პროგრამის ყველა სილაბუსში დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, სასწავლო კვირეების რაოდენობა, ფინალური გამოცდებისთვის გამოყოფილი საათები. აღნიშნული ჩანაწერები უნდა იყოს მკაფიო, გასაგები და დათვლადი.
- **რეკომენდებულია,** პროგრამის ყველა სილაბუსის სასწავლო კურსების შედეგების გადახედვა/რეფორმულირება სასწავლო კურსების შედეგების გაზომვადობითვის.
- **რეკომენდებულია,** განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები სასწავლო კურსებში „საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა“, „შედარებითი პოლიტიკა“.
- **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსები „პოლიტიკის თეორია“ „პოლიტიკური ფილოსოფია/პოლიტიკური აზრის ისტორია“, „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში“, „პოლიტიკური იდეოლოგიები“, „პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია“ განხილულ იქნას როგორც სფეროს მაკვალიფიცირებელი სასწავლო კურსების ერთობლიობა და არსებული სასწავლო კურსების შინაარსების განახლებისა და ახალი სასწავლო კურსების შექმნის პროცესში უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნული კურსების შინაარსობრივი გამიჯვნა და ერთმანეთთან ბმა (წინაპირობად განსაზღვრა, სემესტრული გადანაწილება).
- **რეკომენდებულია,** გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები სასწავლო კურსებში „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა“, „საქართველოს ეკონომიკა“, „არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში“, „საჯარო პოლიტიკა და პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტები“, „მსოფლიო ისტორიის ძირითადი მოვლენები“, „პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია“.

2.6.

რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტთა შეფასებისას არ გაითვალისწინოს სემინარზე დასწრების კომპონენტი.

4.4.

- **რეკომენდებულია,** ფინანსური მდგრადობის დასადგენად პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული სტუდენტთა მინიმალური საჭირო რაოდენობა (Break-even) გამოთვლილი იქნას პროგრამის აქტიური სტატუსით სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე. პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია 72 სტუდენტის შემთხვევაში, თუმცა, პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის აქტიური სტატუსი მქონე სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 43-ს.

5.1.

რეკომენდებულია, ხარისხის სამსახური არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფორმალური მექანიზმების არსებობით და უფრო გააქტიურდეს ურთიერთთანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან, რათა რეალურად იყოს ორიენტირებული პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაზე და პროგრამის განვითარების გზების დასახვაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.2.

სასურველია, დასკვნითი სასწავლო პროექტების პრაქტიკაში განხორციელების შემდეგ, უსდ-მ განაახლოს სწავლის შედეგების რუკის დასკვნითი სასწავლო პროექტის შედეგებთან შესაბამისობა.

2.2.

- **სასურველია,** პროგრამის სტრუქტურა (სავალდებულო/არჩევითი/თავისუფალი არჩევითი კომპონენტების შეჯამებული კრედიტები) უფრო ნათლად იყოს წარმოდგენილი პროგრამის აღწერილობით ნაწილსა და თვითშეფასების დოკუმენტში.
- **სასურველია,** ინგლისური ენის შემსწავლელი სასწავლო კურსების (დონეების მიხედვით) შეთავაზების ლოგიკა და პოლიტიკა ნათლად ჩანდეს პროგრამის აღწერილობით ნაწილში.
- **სასურველია,** პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდეს ცვლილებები სავალდებულო ნაწილის მოცულობის შესამცირებლად და არჩევითი/თავისუფალი არჩევითი კურსების კრედიტების გასაზრდელად პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურღვევობის გათვალისწინებით.
- **სასურველია,** გადაიხედოს უნიფიცირებული კრედიტები არჩევით სასწავლო კურსებთან მიმართებით.

2.3.

- **სასურველია,** განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურსების „პოლიტიკური ფსიქოლოგია“, „შესავალი ეროვნულ უსაფრთხოებაში“, „ევროკავშირის პოლიტიკა“ სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ნაწილში.
- **სასურველია,** გაიზარდოს აკადემიური წერის კრედიტების მოცულობა 5 ან 6 კრედიტამდე.
- **სასურველია,** აკადემიური წერის სილაბუსის შინაარსი ითვალისწინებდეს დასკვნითი სასწავლო პროექტის კვლევის დიზაინს.
- **სასურველია,** სილაბუსის შინაარსში დაემატოს კვლევის რაოდენობით მეთოდებთან დაკავშირებული მასალა.
- **სასურველია,** დასკვნითი სასწავლო პროექტის სტრუქტურის ნაწილის მოთხოვნებში ჩანაწერის სახით აღინიშნოს საკვლევი საკითხის თეორიასთან მიმართების აუცილებლობა.

4.2.

სასურველია, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია დაგეგმილი კვლევით-სამეცნიერო ღონისძებებში

5.1.

სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ტრენინგების ორგანიზება სილაბუსების ფორმირებასა და აუცილებელ ელემენტებთან

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

მისასალმებელია, რომ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობა აქვს კვლევის შედეგები გამოაქვეყნოს ინგლისურენოვანი რეფერირებადი სამეცნიერო ელექტრონულ ჟურნალში „Journal of Politics and Democratization“, რომელიც შეიქმნა შეერთებული შტატების ტროის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საფუძველზე ერთობლივი სარედაქციო კოლეგიის პირობებში.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამამ პირველადი აკრედიტაცია მიიღო 2018 წლის 26 იანვარს (გადაწყვეტილება #18), ხოლო სტუდენტების პირველი ნაკადი პროგამაზე ჩაირიცხა 2018 წლის სექტემბერში.

პირველი აკრედიტაციიდან დღემდე განხორციელდა რამდენიმე ცვლილება: დაინიშნა ახალი პროგრამის ხელმძღვანელი, გაიზარდა პროგრამის განმახორციელებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა, შემუშავდა და დაიხვეწა პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკა, პროგრამის თითოეული სასწავლო კურსისთვის განისაზღვრა სამდონიანი ცოდნის იერარქია სწავლის შედეგებთან მიმართებით; შეიქმნა და დაიხვეწა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; გადაიდგა ნაბიჯები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, გამრავალფეროვნდა პროგრამის სასწავლო კურსები პროგრამის სტრუქტურის როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით ნაწილში. პროგრამას დაემატა შემდეგი სასწავლო კურსები: კომპიუტერული უნარები; ლოგიკა და კრიტიკული აზროვნება; შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში; ინგლისური ენა პოლიტიკის მეცნიერებებისთვის; არასახელწმიფო აქტორები პოლიტიკაში; პოლიტიკური მარკეტინგის სტრატეგიები; პოლიტიკური კომუნიკაცია. მოხდა არსებული სილაბუსების გადამუშავება: შინაარსობრივი განახლება, სწავლის შედეგების აკრედიტაციის ახალ სტანდარტების მიხედვით გაწერა, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის საჭიროების მიხედვით განახლება და გამრავალფეროვნება.

მოსაზრებები უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის შესახებ

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ უსდ-მ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ზოგიერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. აკრედიტაციის ჯგუფმა განიხილა წარმოდგენილი არგუმენტები და აკრედიტაციის ჯგუფის წევრების საერთო მოსაზრებით, წარმოდგენილ დასკვნაში არ მოხდა უსდ არგუმენტების გათვალისწინება. კერძოდ, უსდ პროგრამის შედეგებზე გასვლისთვის არ თვლის აუცილებლობად პროგრამის სტრუქტურაში სასწავლო კურსების „პოლიტიკის თეორია“ და „პოლიტიკური იდეოლოგიების“ ცალკე სასწავლო კურსებად დამატებას, რადგან აღნიშნული საკითხები გათვალისწინებულია სხვა სასწავლო კურსებში (პოლიტიკის თეორიას მოიცავს სასწავლო კურსი „პოლიტიკის თეორია და ფილოსოფია“, ხოლო პოლიტიკური იდეოლოგიის ზოგიერთ საკითხს ითვალისწინებს სასწავლო კურსები „შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში“ და „პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია“.) აკრედიტაციის ჯგუფის წევრთა მოსაზრებით, პროგრამის მიზნებისა და შედეგების, სწავლების დონისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით, აღნიშნული სასწავლო კურსების სტრუქტურაში დამატება წარმოადგენს აუცილებლობას (დეტალური განმარტებები ასახულია რეკომენდაციების აღწერილობით ნაწილში). შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციის დასკვნაში დატოვება ნიშნავს სასწავლო კურსებთან დაკავშირებული მეორე რეკომენდაციის უცვლელობას. დასკვნაში ასევე არ იქნა გათვალისწინებული უსდ არგუმენტები 2.6.; 4.4.; 5.1 რეკომენდაციებთან დაკავშირებით. აღნიშნული რეკომენდაციების დეტალური ახსნა-აღწერა წარმოდგენილია რეკომენდაციების აღწერილობით ნაწილებში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული. ის ასახავს ფართო თეორიული ცოდნის მიცემას როგორც ზოგადად სფეროს შესახებ, ასევე ცალკეული ქვედარგებისა და მომიჯნავე ქვედარგების შესახებ. პროგრამის მიზნების ნაწილში ასევე ასახულია რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მცირე კვლევების ჩატარება, კრიტიკული აზროვნების უნარი) და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში (პროფესიული ეთიკისა და ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვა). პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უსდ მისიასთან, რომელიც ითვალისწინებს როგორც სტუდენტების თანამედროვე ცოდნით აღჭურვას, ასევე დემოკრატიული ღირებულებების ერთგულებას. პროგრამის მიზნები შესაბამისობაში უსდ სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, რომელშიც საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა ძირითად პრიორიტეტებად არის განსაზღვრული. პროგრამის მიზნების შემუშავების პროცესში უსდ-მ მოახდინა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების ანალიზისა (სამი შერჩეული პროგრამა) და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება (University College, Oxford). კერძოდ, შერჩეული ქართული საგანმანათლებლო პროგრამების კვლევის მიხედვით, სამივე შერჩეული პროგრამის მიზნები მსგავსია და ითვალისწინებს თეორიული ცოდნის გადაცემას როგორც პოლიტიკის მეცნიერებაში, ასევე მის ცალკეულ სუბდისციპლინებში, კვლევითი პრობლემების გადაწყვეტისა და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებას და მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენებას კონკრეტული პრობლემების გასაანალიზებლად. საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი პროგრამის ანალიზის მიხედვით, პროგრამის მიზანია თეორიული ცოდნის მიცემა პოლიტიკის, ფილოსოფიისა და ეკონომიკის მიმართულებით, ასევე აქცენტი კეთდება ანალიზის, წერის, მსჯელობის უნარებზე, დამოუკიდებლად სწავლისა და ორგანიზაციულ უნარებზე. მიზნები დადებითად არის შეფასებული გარე შემფასებლის ანგარიშში. კერძოდ, როგორც გარე ექსპერტი აღნიშნავს, „ბალანსი, რომელიც დაცულია პროგრამის აკადემიურ და გამოყენებით ელემენტებს შორის, აჩვენებს, რომ პროგრამის ავტორებს კარგად აქვთ გააზრებული აკადემიური და გამოყენებითი მიზნების ურთიერთკავშირის მნიშვნელობა“. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია შრომის ბაზრის ანალიზთან. კერძოდ, უსდ-მ სამ პარტნიორ ეროვნულ უნივერსიტეტთან ერთად განახორციელა ეროვნული ბაზრის კვლევა

(2019) და ასევე, ყოველწლიურად ახორციელებს პოტენციურ დამსაქმებლებთან (რომელთა ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანია) შეხვედრას მრგვალი მაგიდის პრინციპით. კერძოდ, შრომის ბაზრის ანალიზისა და დამსაქმებლებთან განხორციელებული ინტერვიუების მიხედვით, მნიშვნელოვანია უცხო ენის ცოდნა, საკომუნიკაციო (ზეპირი და წერილობითი) და ანალიტიკური უნარების განვითარება, რაც გათვალისწინებულია პროგრამის მიზნებში.

პროგრამის სწავლის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის უსდ ვებგვერდის საშუალებით. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, რაც დასტურდება ჩატარებული ინტერვიუებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების დოკუმენტი
- უსდ მისია
- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024
- ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი
- საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი
- ეროვნული შრომის ბაზრის კვლევა
- დამსაქმებლებთან შეხვედრის ანალიზი
- გარე ექსპერტის დასკვნა
- უსდ ვებგვერდი www.gipa.ge
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია 3 კომპონენტით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. შედეგების ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში ასახულია პროგრამის მიზნებში გაწერილი ყველა დარგობრივი საკითხი და ასევე დარგობრივი ცოდნის გაცნობიერების მექანიზმები. შედეგების უნარების ნაწილში ასახულია პროგრამის მიზნებში იდენტიფიცირებული უნარები. პროგრამის შედეგების პასუხისმგებლობა-ავტონომიურობა ნაწილში ასახულია და გავრცობილია პროგრამის მიზნების შესაბამის ნაწილში წარმოდგენილი საკითხები. წარმოდგენილი პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ასევე შეესაბამება სფეროს სპეციფიკას, შრომის ბაზრის მოთხოვნებს (პროგრამის შედეგების შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა უსდ-ს პროგრამის ძლიერ მხარეებში აქვს აღნიშნული) და პროგრამის დასრულების შემდგომ პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს. კერძოდ, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ასევე დამსაქმებლებთან განხორციელებული ინტერვიუების მიხედვით, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დარგობრივი თეორიული ცოდნა, არამედ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, მცირე კვლევითი პროექტის განხორციელება (ზედამხედველობით), ტექსტის გაგება-ანალიზი, სიახლეების გაცნობა, რაც გათვალისწინებულია პროგრამის შედეგებში.

პროგრამის შედეგები იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა წარმოდგენილია მიზნებისა და შედეგების ურთიერთმიმართების მატრიცის სახით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა ხაზგასმულია გარე ექსპერტის შეფასებაშიც.

პროგრამის თითოეული შედეგის გაზომვადობისთვის უსდ-ს განსაზღვრული აქვს სხვადასხვა დონეები (Introduction, Development, Mastering, Practice). კურიკულუმის თითოეული სასწავლო კურსის შესაბამისობა პროგრამის შედეგებთან წარმოდგენილია ცხრილის სახით სხვადასხვა დონეების გათვალისწინებით. პროგრამის შედეგებში გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის სასწავლო კურსებთან დაკავშირება ადეკვატურია. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნულები. უსდ პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვისთვის (როგორც შეძენილი ცოდნა, ასევე გამომუშავებული უნარ-ჩვევები) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დასკვნით სასწავლო პროექტს (ფარავს ყველა შედეგს M დონეზე).აკრედიტაციის ჯგუფის დაკვირვებით, დასკვნითი სასწავლო პროექტის ყველა შედეგზე გასვლა M დონეზე შესაძლებელია არარეალისტური აღმოჩნდეს. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებულები და პროგრამაზე ჯერ არ მომხდარა დასკვნითი სასწავლო პროექტის მომზადება. შესაბამისად, აკრედიტაციის ჯგუფს არ მიეცა საშუალება დასკვნითი სასწავლო პროექტების ნახვის. სასურველია, დასკვნითი სასწავლო პროექტების პრაქტიკაში განხორციელების შემდეგ, უსდ-მ განაახლოს სწავლის შედეგების რუკის დასკვნითი სასწავლო პროექტის შედეგებთან შესაბამისობა. სწავლის შედეგების შეფასების

მექანიზმებთან დაკავშირებით, აკრედიტაციის ჯგუფის რეკომენდაცია ასევე წარმოდგენილია 5.1 ქვესტანდარტში.

პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, დამსაქმებელი) დასტურდება თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის პროცესის აღწერილობით და თვითშეფასების ჯგუფთან განხორციელებული ინტერვიუებით.

პროგრამის შედეგებისა და სასწავლო კურსების შედეგების ნაწილი შესაბამისობაშია. პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი და რეალისტურია.

სააკრედიტაციო ჯგუფის დაკვირვებით, როგორც პროგრამის მიზნებში, ასევე მის შედეგებში (ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში) ხაზგასმულია პოლიტიკური იდეოლოგიების დაუფლების აუცილებლობა და შესაძლებლობა. პროგრამის შედეგების ცხრილში წარმოდგენილია რამდენიმე სასწავლო კურსი, რომელმაც აღნიშნული ცოდნის დაუფლებაზე უნდა გაიყვანოს სტუდენტი. ექსპერტთა ჯგუფის აზრით (აღნიშნული სასწავლო კურსების შინაარსის გათვალისწინებით) აღნიშნულ შედეგზე გასასვლელად უმჯობესია კურიკულუმში „პოლიტიკური იდეოლოგიების“ სასწავლო კურსის ცალკე სასწავლო კურსის სახით დამატება. აღნიშნული მოსაზრება გათვალისწინებულია რეკომენდაციის სახით 2.2. ნაწილში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და განხორციელებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ უსდ პერიოდულად ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასებას როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდებით, აანალიზებს მიღებულ შედეგებს და სახავს გეგმას სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად. ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი (აკადემიური/მოწვეული) იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

უსდ-მ პროგრამის შედეგების შემუშავების პროცესში გაითვალისწინა საერთაშორისო გამოცდილება (ევროპისა და აშშ უნივერსიტეტები). კერძოდ, აქცენტი გაკეთდა მულტიდისციპლინურ მიდგომასა და უნარების გამომუშავებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- თვითშეფასების დოკუმენტი
- შრომის ბაზრის კვლევა
- პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთმიმართების მატრიცა
- სასწავლო კურსებისა და დასკვნითი სასწავლო პროექტის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის ცხრილები
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი
- დამსაქმებლებთან შეხვედრის ანალიზი
- სტუდენტური კითხვარების შედეგების ანალიზი
- სტუდენტებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების ანგარიშები
- საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზი
- გარე ექსპერტის დასკვნა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, დასკვნითი სასწავლო პროექტების პრაქტიკაში განხორციელების შემდეგ, უსდ-მ განაახლოს სწავლის შედეგების რუკის დასკვნითი სასწავლო პროექტის შედეგებთან შესაბამისობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) შემუშავდა და დაიხვეწა პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკა, პროგრამის თითოეული სასწავლო კურსისთვის განისაზღვრა სამდონიანი ცოდნის იერარქია სწავლის შედეგებთან მიმართებით;
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება საქართველოს მოქ-მედ კანონმდებლობას. კერძოდ, პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. პროგრამაზე ჩაბარების მსურველმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჩააბაროს ქართული ენა და ლიტერატურა; ინგლისური ენა; მათემატიკა ან ისტორია. სფეროს სფეციფიკისა და პროგრამის სილაბუსებში გამოყენებული ინგლისურენოვანი ლიტერატურის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს პროგრამის წინაპირობაში ინგლისური ენის ჩაბარების ვალდებულებას.

პოლიტიკური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების საფუძველზე და ასევე უსდ-ს მიერ დადგენილი შესაძლო დამატებითი მოთხოვნებით (შიდა გამოცდა, დოკუმენტაციის განხილვა, გასაუბრება), რასაც ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოცემულია პროგრამის კურიკულუმში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ასევე დაინტერესებულ პირებს დეტალური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა აქვთ უსდ მიერ გამართულ ღია კარის დღეებზე.

უსდ-მ მოახდინა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების წინაპირობების ანალიზიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.gipa.ge
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, რომელიც ასახულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის წესში. კერძოდ, პროგრამა ოთხწლიანია და შედგება რვა სემესტრისგან. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი (ერთი კრედიტი წარმოადგენს 25 ასტრონომიულ საათს, რომელიც მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.) პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სავალდებულო ზოგად საგნებს, ინგლისური ენის კომპონენტს, სპეციალობის სავალდებულო საგნებს, არჩევით საგნებს, თავისუფალ კრედიტს. 210 ECTS მინიჭებული აქვს სავალდებულო სასწავლო კურსებს (41 სავალდებულო კურსი, მათ შორის, დასკვნითი სასწავლო პროექტი 10 ECTS) და 30 ECTS არჩევით საგნებს (მათ შორის 6 ECTS თავისუფალი კრედიტი). უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტსა და პროგრამაში არ არის სტრუქტურული გადანაწილება მკაფიოდ აღწერილი კრედიტების მიხედვით, თვითშეფასების სხვადასხვა ნაწილსა და საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების ბადეში ფიქსირდება განსხვავებული მონაცემები. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურული ნაწილების კრედიტების მიხედვით დათვლა შესაძლოა არ იყოს აღქმადი სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. სასურველია, პროგრამის სტრუქტურა (სავალდებულო/არჩევითი/თავისუფალი არჩევითი კომპონენტების შეჯამებული კრედიტები) უფრო ნათლად იყოს წარმოდგენილი პროგრამის აღწერილობით ნაწილსა და თვითშეფასების დოკუმენტში. ასევე, გარკვეულ შეკითხვებს ბადებს ენების ბლოკის სწავლების ლოგიკა რომელიც არ არის განმარტებული პროგრამის აღწერილობით ნაწილში (მაგალითად, შესაბამისი სერთიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში როგორ ჩანაცვლდება ინგლისური ენის სხვადასხვა დონის სავალდებულო კურსი), ხოლო ინტერვიუების პროცესში მივიღეთ არაერთგვაროვანი პასუხები. სასურველია, ინგლისური ენის შემსწავლელი სასწავლო

კურსების (დონეების მიხედვით) შეთავაზების ლოგიკა და პოლიტიკა ნათლად ჩანდეს პროგრამის აღწერილობით ნაწილში.

პროგრამის სტრუქტურაში საგნების თანმიმდევრულობა არის დაწყობილი მარტივიდან რთულისკენ და ითვალისწინებს სფეროს თანამედროვე მიღწევებს. შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები უმეტესად არის ადეკვატური. სააკრედიტაციო ჯგუფი წინაპირობების ცვლილების აუცილებლობას ხედავს მხოლოდ ორ სასწავლო კურსთან მიმართებით. კერძოდ, შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში წინაპირობად უნდა იქნას გათვალისწინებული შემდეგი სასწავლო კურსებისთვის: საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა, არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში, რადგან სწორედ პოლიტიკის შესავალ კურსში უნდა მიიღოს სტუდენტმა ზოგადი საბაზისო ცოდნა იმ საკითხების შესახებ (სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემების მახასიათებლები, პოლიტიკურ სისტემაში ჩართული სხვადასხვა ტიპის აქტორების კლასიფიკაცია) რაც ზემოხსენებულ სასწავლო კურსებში განიხილება დაკონკრეტებული სახით.შესაბამისად, რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა“, „არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში“.

საბაკალავრო პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტთა ჯგუფის დაკვირვებით, პროგრამის სტრუქტურაში არ არის გათვალისწინებული პოლიტიკური იდეოლოგიების სასწავლო კურსი (რომელიც, პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, პროგრამის წინარე ვერსიაში იყო გათვალისწინებული, ხოლო ცვლილებების პროცესში ამოიღეს, რადგან პოლიტიკური იდეოლოგიები ცალკეული თემების სახით გათვალისწინებულია სხვა სასწავლო კურსების სილაბუსებში). პროგრამის სტრუქტურის პროგრამის შედეგებთან სრული შესაბამისობისთვის და სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამის სტრუქტურას სავალდებულო სასწავლო კურსად უნდა დაემატოს „პოლიტიკური იდეოლოგიების“ სასწავლო კურსი.

სასწავლო კურსი „პოლიტიკის თეორია და ფილოსოფია“ სილაბუსის შინაარსის მიხედვით ერთგვარი კომბინირებული კურსია, რომელიც მოიცავს პოლიტიკის თეორიისა და პოლიტიკური ფილოსოფიის/პოლიტიკური აზრის ისტორიის საკითხებს. იმის გათვალისწინებით, რომ სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე ყველა ჩამოთვლილი თემატიკა მნიშვნელოვანია პროგრამის შედეგებზე გასვლისთვის და ამასთან, დასკვნითი სასწავლო პროექტი უნდა მომზადდეს პოლიტიკის რომელიმე თეორიაზე დაყრდნობით, უნდა მოხდეს აღნიშნული სასწავლო კურსის ორ ნაწილად გაყოფა და ცალ-ცალკე სასწავლო კურსებად შეთავაზება (პოლიტიკის თეორია და პოლიტიკური ფილოსოფი/პოლიტიკური აზრის ისტორია). შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო საგნების ნაწილში სასწავლო კურსი „პოლიტიკის თეორია და ფილოსოფია“ უნდა ჩანაცვლდეს ორი დამოუკიდებელი სასწავლო კურსით: პოლიტიკის თეორია, პოლიტიკის ფილოსოფია/პოლიტიკური აზრის ისტორია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სავალდებულო კურსები „პოლიტიკის თეორია“, „პოლიტიკური იდეოლოგიები“ სავალდებულო სასწავლო კურსების სახით.

პროგრამის მიზნები და შედეგები ითვალისწინებს ცოდნის მიცემას პოლიტიკის მეცნიერების სხვადასხვა ქვედარგებიდან და მომიჯნავე დარგებიდან/ქვედარგებიდან (მაგ., საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკა). იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის სტრუქტურის მიხედვით არც ისე დიდი ნაწილი აქვს დათმობილი არჩევით საგნებს და

ასევე, ექსპერტთა ჯგუფს აუცილებლად მიაჩნია კიდევ ორი სასწავლო კურსის სტრუქტურის სავალდებულო ნაწილში ჩამატება, განხილულ უნდა იქნას სფეროს ქვედარგებთან და მომიჯნავე სფეროსთან დაკავშირებული ზოგიერთი სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილება სავალდებულოდან არჩევითზე. მაგალითად, ეკონომიკის შესავალი ისწავლება პროგრამის სავალდებულო ზოგადი საგნების ბლოკში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს „საჯარო სექტორის ეკონომიკის“ (რომლის შინაარსი დიდად არ განსხვავდება ეკონომიკის შესავლისგან) არჩევით საგნებში გადატანა არ დაარღვევს პროგრამის სტრუქტურის მიზნებთან და შედეგებთან შესაბამისობას. ასევე, პროგრამაში გათვალისწინებულია საერთაშორისო ურთიერთობების დარგთან დაკავშირებული ხუთი სასწავლო კურსი. მომიჯნავე დარგიდან ამ რაოდენობით სავალდებულო კურსის სტრუქტურაში გათვალისწინება არ არის აუცილებელი. ასევე, სტრუქტურის სავალდებულო ნაწილში გვხვდება პოლიტიკის მეცნიერების ქვედარგებთან დაკავშირებული რამდენიმე კურსი (მაგ. „პოლიტიკური კომუნიკაცია“, „არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში“ და სხვ.). სხვადასხვა ქვედარგების ზოგადი გაცნობა უნდა მოხდეს „შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში“ სასწავლო კურსით, ხოლო ცალკეულ ქვედარგთან დაკავშირებული სასწავლო კურსი შესაძლებელია შეთავაზებულ იქნას როგორც არჩევითი სასწავლო კურსი. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდეს ცვლილებები სავალდებულო ნაწილის მოცულობის შესამცირებლად და არჩევითი/თავისუფალი არჩევითი კურსების კრედიტების გასაზრდელად პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურღვევობის გათვალისწინებით.

პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს მინიჭებული აქვს სხვადსხვა კრედიტები (4,5,6), ხოლო ყველა არჩევითი სასწავლო კურსი 6 კრედიტიანია. სასურველია, გადაიხედოს უნიფიცირებული კრედიტები არჩევით სასწავლო კურსებთან მიმართებით.

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დამსაქმებლები, გარე ექსპერტი) დასტურდება უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით. უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- კურიკულუმის რუკა
- თვითშეფასების დოკუმენტი
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.gipa.ge
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა“, „არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში“.
- რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სავალდებულო კურსები „პოლიტიკის თეორია“, „პოლიტიკური იდეოლოგიები“ სავალდებულო სასწავლო კურსების

სახით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის სტრუქტურა (სავალდებულო/არჩევითი/თავისუფალი არჩევითი კომპონენტების შეჯამებული კრედიტები) უფრო ნათლად იყოს წარმოდგენილი პროგრამის აღწერილობით ნაწილსა და თვითშეფასების დოკუმენტში.
- სასურველია, ინგლისური ენის შემსწავლელი სასწავლო კურსების (დონეების მიხედვით) შეთავაზების ლოგიკა და პოლიტიკა ნათლად ჩანდეს პროგრამის აღწერილობით ნაწილში.
- სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდეს ცვლილებები სავალდებულო ნაწილის მოცულობის შესამცირებლად და არჩევითი/თავისუფალი არჩევითი კურსების კრედიტების გასაზრდელად პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურღვევობის გათვალისწინებით.
- სასურველია, გადაიხედოს უნიფიცირებული კრედიტები არჩევით სასწავლო კურსებთან მიმართებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

პროგრამას დაემატა შემდეგი სასწავლო კურსები: კომპიუტერული უნარები; ლოგიკა და კრიტიკული აზროვნება; შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში; ინგლისური ენა პოლიტიკის მეცნიერებებისთვის; არასახელწმიფო აქტორები პოლიტიკაში; პოლიტიკური მარკეტინგის სტრატეგიები; პოლიტიკური კომუნიკაცია.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს სთავაზობს მრავალფეროვან და საინტერესო სასწავლო კურსებს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით ნაწილში, რაც უზრუნველყოფს როგორც სფეროს დაუფლებას, ასევე კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარებას. მათ

შორის, ექსპერტთა ჯგუფს მნიშვნელოვნად მიაჩნია დარგობრივი ენის კურსის სწავლება („ინგლისური ენა პოლიტიკის მეცნიერებებისთვის“), ასევე, ექსპერტთა ჯგუფს საინტერესოდ მიაჩნია ისეთი არჩევითი კურსების შეთავაზება, როგორიცაა „კინო და პოლიტიკა“, „ფონდების მოძიება“.

სასწავლო კურსები შინაარსობრივად დაყოფილია ზოგად თეორიულ, დარგობრივ (მათ შორის ქვედარგებისა და მომიჯნავე დარგების), კვლევითი (თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები) და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე (მაგ: პრეზენტაციის უნარები, კომპიუტერული უნარები, ლოგიკური აზროვნება და სხვა.) ორიენტირებულ კურსებად.

უდაოდ მისასალმებელია უსდ-ში დამკვიდრებული არაუნიფიცირებული პრაქტიკა, სადაც ლექტორს თავად შეუძლია განსაზღვროს როგორც საკონტაქტო საათების რაოდენობა, ასევე შუალედური გამოცდების რაოდენობა და საგამოცდო საათების რაოდენობა. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სილაბუსების აპარატში ნათლად უნდა იკითხებოდეს თითოეული სასწავლო კურსის შემთხვევაში როგორ არის გადანაწილებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, რამდენი საათი ეთმობა შუალედურ და ფინალურ გამოცდებს, რამდენი კვირა გრძელდება სასწავლო პროცესი. წარმოდგენილი სილაბუსების საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ნაწილში საკონტაქტო საათები უმეტესად წარმოდგენილია მხოლოდ ლექცია-სემინარის საათებით, არ არის აღნიშნული შუალედური და ფინალური გამოცდების საკონტაქტო საათები და თუ შევხედავთ საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ჯამს, საგამოცდო საათები მიკუთვნებული აქვს დამოუკიდებელ მუშაობას (რომელსაც ხან დამოუკიდებელი საათები ეწოდება, ხან პრაქტიკული სამუშაო). წარმოდგენილი სილაბუსების ნაწილი გულისხმობს 14 კვირიან სასწავლო პროცესს, ნაწილი 16 კვირიან სასწავლო პროცესს. უსდ ადმინისტრაციის განმარტებით, უსდ-ში შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრები სხვადასხვა ხანგრძლივობით არის განსაზღვრული. თუმცა სილაბუსების უმრავლესობა არც ამ სქემას მიჰყვება, ფიქსირდება 13, 14, 15, 16 კვირიანი სალექციო კვირეები. გარდა ამისა, ზოგიერთ სილაბუსში არ ემთხვევა სილაბუსის დასაწყისში გამოტანილი ლექცია-სემინარის საათების რაოდენონობა კვირეების მიხედვით ნაწილში მოცემულ ლექცი-სემინარის საათების დათვლას. რეკომენდებულია, პროგრამის ყველა სილაბუსში დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, სასწავლო კვირეების რაოდენობა, ფინალური გამოცდებისთვის გამოყოფილი საათები. აღნიშნული ჩანაწერები უნდა იყოს მკაფიო, გასაგები და დათვლადი.

წარმოდგენილი სასწავლო კურსების დიდ ნაწილში (მაგ.სამართლის საფუძვლები, ეკონომიკის შესავალი, შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში, ადამიანის უფლებები, არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში, აშშ საგარეო პოლიტიკა, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა, განვითარების ეკონომიკა, პოლიტიკა და მითოლოგია, პროეტის მართვა, საერთაშორისო ეკონომიკა და სხვ.) შეკითხვებს აჩენს შედეგების სხვადასხვა კომპონენტების ფორმულირება და ერთმანეთისგან გამიჯვნა (უმეტეს შემთხვევაში ეს ეხება უნარების ნაწილს, ცალკეულ შემთხვევაში ცოდნა-გაცნობიერებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის ნაწილებს). რეკომენდებულია, პროგრამის ყველა სილაბუსის სასწავლო კურსების შედეგების გადახედვა/რეფორმულირება სასწავლო კურსების შედეგების გაზომვადობითვის. მიუხედავად აღნიშნული პრობლემისა, პროგრამის სილაბუსების შინაარსის გათვალისწინებით, სასწავლო კურსების შედეგების შესაბამისობა პროგრამის შედეგებთან ეჭვს არ იწვევს.

პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი უმეტესწილად შეესაბამება ამ სასწავლო კურსების შედეგებს. თუმცა, აკრედიტაციის ჯგუფის აზრით, შეკითხვებს აჩენს ზოგიერთი

სასწავლო კურსის შინაარსის სათაურთან და სილაბუსის მიზნებთან და შედეგებთან შესაბამისობა. სასწავლო კურსის „საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა“ პირველი ნაწილი დათმობილი აქვს საქართველოს სახელმწიფოს აღწერას ისტორიულ ჭრილში. თანამედროვე საქართველოს აღწერა იწყება მე-8 კვირიდან. პროგრამის მიზნებსა და შედეგებში აქცენტი კეთდება საქართველოს პოლიტიკური სისტემის ცოდნაზე, რაც თანამედროვე საქართველოს მოწყობასა და პოლიტიკურ სისტემას გულისხმობს (პოსტსაბჭოთა, სუვერენული სახელმწიფო). სასწავლო კურსის მიზანი და შედეგი შესაბამისია პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან და ამ შემთხვევაში შეკითხვას აჩენს სილაბუსის შინაარსის შესაბამისობა სათაურთან და კურსის მიზნებთან და შედეგებთან. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიის (ან ისტორიის გარკვეული მონაკვეთის) შემსწავლელი სასწავლო კურსი შესაძლებელია მომზადდეს დამოუკიდებელი, არჩევითი სასწავლო კურსის სახით. სააკრედიტაციო ჯგუფის შეფასებით, უნდა განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები სასწავლო კურსის „საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა“ სილაბუსში, სასწავლო კურსი სრულად დაეთმოს თანამედროვე სახელმწიფოს მოწყობისა და პოლიტიკური სისტემის თავისებურებებს.

სასწავლო კურსის „შედარებითი პოლიტიკა“ შინაარსი დიდწილად იმეორებს სასწავლო კურსის „შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში“ შინაარსს. სააკრედიტაციო ჯგუფის აზრით, უნდა განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები სასწავლო კურსში „შედარებითი პოლიტიკა“ და აქცენტი გაკეთდეს შედარებითი პოლიტიკის, როგორც ქვედარგის თეორიულ საფუძვლებზე, შედარებით მეთოდზე, კონკრეტული ქეისების განხილვაზე, ასევე შედარებით პოლიტიკასთან დაკავშირებული პოლიტიკის მეცნიერების ცალკეული ქვედარგის ზოგად მიმოხილვაზე (მაგ. პოლიტიკური კომუნიკაცია).

რეკომენდებულია, განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები სასწავლო კურსებში „საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა“, „შედარებითი პოლიტიკა“.

სასწავლო კურსის „პოლიტიკის თეორია და ფილოსოფია“ სილაბუსი შინაარსობრივად ერთგვარი ჰიბრიდია პოლიტიკის თეორიის, პოლიტიკის ფილოსოფიის, პოლიტიკური აზრის ისტორიის. მასში არ არის წარმოდგენილი პოლიტიკის თეორიის შესწავლისთვის აუცილებელი ისეთი საკითხები, როგორიცაა თანამედროვე პოლიტიკის თეორიები, მიმდინარე დებატები და სხვ. სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით (და ასევე, საბაკალავრო ნაშრომის თეორიაზე დაყრდნობის აუცილებლობით) აღნიშნული სილაბუსის საფუძველზე უნდა მოხდეს ორი დამოუკიდებელი სასწავლო კურსის ჩამოყალიბება (არსებული სილაბუსის სათაური განისაზღვროს როგორც პოლიტიკის ფილოსოფია/პოლიტიკური აზრის ისტორია და დაიწეროს ახალი სასწავლოა კურსი „პოლიტიკის თეორია“). კურიკულუმში არ გვხვდება პოლიტიკური იდეოლოგიების დამოუკიდებელი სასწავლო კურსი. პოლიტიკურ იდეოლოგიებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები წარმოდგენილია სხვადასხვა სასწავლო კურსების სილაბუსებში. სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია უსდ-მ სტუდენტს შესთავაზოს „პოლიტიკური იდეოლოგიები“ დამოუკიდებელ სასწავლო კურსად (პროგრამის სტრუქტურაში ახალი სასწავლო კურსების დამატება წარმოდგენილია რეკომენდაციის სახით 2.2. ნაწილში).

სფეროს ძირითადი დარგობრივი საკითხების შესასწავლად კურიკულუმში მოცემულია რამდენიმე სავალდებულო სასწავლო კურსი: „პოლიტიკის თეორია და ფილოსოფია“, „შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში“, „პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია“. თითოეული აღნიშნული სასწავლო კურსის შინაარსი არის კომპლექსური და ფარავს პოლიტიკის მეცნიერებების სხვადასხვა საკითხებს და ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში ახდენს ურთიერთგადაფარვას ან საკითხები არ არის მკაფიოდ წარმოდგენილი ან

გამოტოვებულია ზოგიერთი საკითხი. აღნიშნული სასწავლო კურსები (და ასევე ახალი სასწავლო კურსები - პოლიტიკის თეორია, პოლიტიკური იდეოლოგიები) განხილულ უნდა იქნას როგორც სფეროს მაკვალიფიცირებელი სასწავლო კურსების ერთობლიობა და არსებული სასწავლო კურსების შინაარსების განახლებისა და ახალი სასწავლო კურსების შექმნის პროცესში უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნული კურსების შინაარსობრივი გამიჯვნა და შინაარსობრივი ბმა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, სასწავლო კურსები „პოლიტიკის თეორია“ „პოლიტიკური ფილოსოფია/პოლიტიკური აზრის ისტორია“, „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში“, „პოლიტიკური იდეოლოგიები“, „პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია“ განხილულ იქნას როგორც სფეროს მაკვალიფიცირებელი სასწავლო კურსების ერთობლიობა და არსებული სასწავლო კურსების შინაარსების განახლებისა და ახალი სასწავლო კურსების შექმნის პროცესში უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნული კურსების შინაარსობრივი გამიჯვნა და ერთმანეთთან ბმა (წინაპირობად განსაზღვრა, სემესტრული გადანაწილება).

ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში დაშვებულია ტექნიკური შეცდომები. მაგალითად, სასწავლო კურსის „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა“ მიზნებში ხაზგასმულია სისტემური და სიღრმისეული ცოდნა, რაც არ შეესაბამება საბაკალავრო დონეს. ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული ხარვეზი ტექნიკურ და არა არსობრივ შეცდომად მიაჩნია, რადგან თავად სილაბუსი შინაარსობრივად შეესაბამება საბაკალავრო დონეს. სასწავლო კურსში „საქართველოს ეკონომიკა“ I-II კვირის სალექციო თემები და მითითებული ლიტერატურის გვერდები (ჯამში 3 საკონტაქტო საათი) იდენტურია, III-IV სალექციო კვირეებში კი სავალდებულო ლიტერატურაში მხოლოდ ერთი გვერდია მითითებული. სასწავლო კურსში „არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში“ VIII-IX-X თემები იდენტურია. ძირითად ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ ორი სახელმძღვანელო, რომელიც თემატურად ვერ ფარავს კვირეების მიხედვით გაწერილ თემებს, თუმცა კვირეების მიხედვით გაწერილია სხვა ლიტერატურა, რომელიც შესაბამისია წარმოდგენილ თემებთან. სასწავლო კურსის „საჯარო პოლიტიკა და პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტები“ წინაპირობად მითითებულია 5 სასწავლო კურსი სხვა კურიკულუმიდან, ხოლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილში აღნიშნულ სასწავლო კურსს არ აქვს წინაპირობა. სავალდებულო საგნის „მსოფლიო ისტორიის ძირითადი მოვლენები“ სილაბუსში შეფასების კომპონენტის ნაწილში, ქულათა პროცენტული გადანაწილება ჯამში 110 %-ია, ხოლო სასწავლო კურსში „პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია“, ქულათა ჯამი 108%-ია. რეკომენდებულია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები სასწავლო კურსებში „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა“, „საქართველოს ეკონომიკა“, „არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში“, „საჯარო პოლიტიკა და პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტები“, „მსოფლიო ისტორიის ძირითადი მოვლენები“, „პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია“.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო/დამატებითი ლიტერატურა შეესაბამება სფეროს აქტუალურ მიღწევებს და ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. ცალკეულ შემთხვევებში, შეკითხვას აჩენს დამატებითი ლიტერატურის მრავალფეროვნება და ძირითადი/დამატებითი ლიტერატურის გასაგებად მითითება. სასწავლო კურსის „პოლიტიკური ფსიქოლოგია“ დამატებით ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ რუსულენოვანი ლიტერატურა. იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტს არ მოეთხოვება რუსული ენის ცოდნა, სასურველია აღნიშნული კურსში გამრავალფეროვნდეს დამატებითი ლიტერატურა ქართული და ინგლისურენოვანი ლიტერატურით. სასწავლო კურსში „შესავალი ეროვნულ უსაფრთხოებაში“ ლიტერატურა

არ არის მითითებული რომელიმე აკადემიური მითითების წესით, რაც ართულებს მითითებული ლიტერატურის აღქმადობას. სასურველია, სილაბუსში ლიტერატურა იყოს აღქმადი და აკადემიური წესების დაცვით მითითებული. სასწავლო კურსში „ევროკავშირის პოლიტიკა“ დამატებით ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ ერთი (ჯოზეფ ნაის) წიგნი, რაც შინაარსობრივად ნაკლებად შეესაბამება წარმოდგენილ სილაბუსს. სასურველია, გამრავალფეროვნდეს აღნიშნული სილაბუსის დამატებითი ლიტერატურა. სასურველია, განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურსების „პოლიტიკური ფსიქოლოგია“, „შესავალი ეროვნულ უსაფრთხოებაში“, „ევროკავშირის პოლიტიკა“ სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ნაწილში.

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა უმეტესწილად შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. შეკითხვას ბადებს მხოლოდ სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“, რომელიც 4 კრედიტიანია, მაშინ როცა სხვა ყველა სავალდებულო კურსი 5 ან 6 კრედიტიანია. სასურველია, გაიზარდოს აკადემიური წერის კრედიტების მოცულობა 5 ან 6 კრედიტამდე.

სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“ კომპლექსური შინაარსისაა და მასში გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის აკადემიური ნაშრომის მომზადების სპეციფიკა, თუმცა მასში არ არის გათვალისწინებული დასკვნითი სასწავლო პროექტის მომზადების სპეციფიკა. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური წერა ისწავლება პირველ სემესტრში, ხოლო დასკვნითი სასწავლო პროექტი სტუდენტმა უნდა მოამზადოს VIII სემესტრში, სასურველია, აკადემიური წერის სილაბუსის შინაარსი ითვალისწინებდეს დასკვნითი სასწავლო პროექტის კვლევის დიზაინს.

სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები და სტატისტიკა” კომპლექსური შინაარსისაა და სტრუქტურაში ერთადერთი კურსია, რომლითაც სტუდენტმა კვლევითი უნარები უნდა შეიძინოს. სასურველია, სილაბუსის შინაარსში დაემატოს კვლევის რაოდენობით მეთოდებთან დაკავშირებული მასალა.

დასკვნითი სასწავლო პროექტის სილაბუსში დეტალურად არის გაწერილი როგორც პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცედურა, ასევე პროექტის სტრუქტურა. ინტერვიუების პროცესში დადასტურდა, რომ საკვლევი თემის შერჩევისა და საკვლევი შეკითხვის ჩამოყალიბების პროცესში თეორიასთან მიმართება პრიორიტეტი იქნება (პროგრამაში ჯერ არ მომხდარა დასკვნითი სასწავლო პროექტების წარდგენა), თუმცა სასურველია აღნიშნული მოთხოვნა დაფიქსირდეს ჩანაწერის სახითაც. სასურველია, დასკვნითი სასწავლო პროექტის სტრუქტურის ნაწილის მოთხოვნებში ჩანაწერის სახით აღინიშნოს საკვლევი საკითხის თეორიასთან მიმართების აუცილებლობა.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ფასდება და შეფასების პროცესში ჩართულია დაინტერესებული მხარეები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა;
- სტუდენტებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებისა და სტუდენტური კითხვარების შედეგების ანალიზის დოკუმენტები
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის ყველა სილაბუსში დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, სასწავლო კვირეების რაოდენობა, ფინალური

გამოცდებისთვის გამოყოფილი საათები. აღნიშნული ჩანაწერები უნდა იყოს მკაფიო, გასაგები და დათვლადი. • რეკომენდებულია, პროგრამის ყველა სილაბუსის სასწავლო კურსების შედეგების გადახედვა/რეფორმულირება სასწავლო კურსების შედეგების გაზომვადობითვის. • რეკომენდებულია, განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები სასწავლო კურსებში „საქართველოს სახელმწიფო მოწყობა და პოლიტიკური სისტემა“, „შედარებითი პოლიტიკა“. • რეკომენდებულია, სასწავლო კურსები „პოლიტიკის თეორია“ „პოლიტიკური ფილოსოფია/პოლიტიკური აზრის ისტორია“, „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში“, „პოლიტიკური იდეოლოგიები“, „პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია“ განხილულ იქნას როგორც სფეროს მაკვალიფიცირებელი სასწავლო კურსების ერთობლიობა და არსებული სასწავლო კურსების შინაარსების განახლებისა და ახალი სასწავლო კურსების შექმნის პროცესში უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნული კურსების შინაარსობრივი გამიჯვნა და ერთმანეთთან ბმა (წინაპირობად განსაზღვრა, სემესტრული გადანაწილება). • რეკომენდებულია, გასწორდეს ტექნიკური შეცდომები სასწავლო კურსებში „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა“, „საქართველოს ეკონომიკა“, „არასახელმწიფო აქტორები პოლიტიკაში“, „საჯარო პოლიტიკა და პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტები“.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურსების „პოლიტიკური ფსიქოლოგია“, „შესავალი ეროვნულ უსაფრთხოებაში“, „ევროკავშირის პოლიტიკა“ სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ნაწილში. • სასურველია, გაიზარდოს აკადემიური წერის კრედიტების მოცულობა 5 ან 6 კრედიტამდე. • სასურველია, აკადემიური წერის სილაბუსის შინაარსი ითვალისწინებდეს დასკვნითი სასწავლო პროექტის კვლევის დიზაინს. • სასურველია, სილაბუსის შინაარსში დაემატოს კვლევის რაოდენობით მეთოდებთან დაკავშირებული მასალა. • სასურველია, დასკვნითი სასწავლო პროექტის სტრუქტურის ნაწილის მოთხოვნებში ჩანაწერის სახით აღინიშნოს საკვლევი საკითხის თეორიასთან მიმართების აუცილებლობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნისა მიცემისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. პროგრამის ფარგლებში ისწავლება დარგის ცოდნის მიმნიჭებელი სავალდებულო და არჩევითი საგნები; კურიკულუმის ფარგლებში ყურადღება გამახვილებელია ისეთ საგნებზე, როგორიცაა „აკადემიური წერა“, „პრეკალკულუსი“, „კომპიუტერული უნარები“, „პრეზენტაციის უნარები“, „ლოგიკა და კრიტიკული აზროვნება“. აღნიშნულ სასწავლო კურსებს აქვთ სავალდებულო ზოგადი სასწავლო კურსების სტატუსი. შესაბამისად, მათი სწავლება მყარ საფუძველს ქმნის კვლევის უნარების შემდგომი განვითარებისთვის ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსის მეშვეობით, როგორიცაა „კვლევის მეთოდები და სტატისტიკა.” პროგრამაში თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამომმუშავებელ კურსებზე აქცენტირება აყალიბებს კვლევით, შემოქმედებით და ტრანსფერულ უნარებს. თავისუფალი კრედიტების ფარგლებში დარგობრივი ცოდნის და ტრანსფერული უნარების შესაძენად სტუდენტებს აქვთ საშუალება თავად აირჩიონ ის სასწავლო კურსები, რომლებიც შემოთავაზებულია სოციალურ მეცნიერებათა ან სხვა სკოლების მიერ იმავე საფეხურზე. მისასალმებელია, რომ პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო სტატუსის დასკვნითი სასწავლო პროექტის დაცვას - ამ კომპონენტის მიზანია დარგის აქტუალურ საკითხზე ცოდნის გაღრმავება და ხელმძღვანელის დაკვირვების პირობებში დაგეგმილი სამეცნიერო კვლევის ჩატარებისთვის საბაზისო უნარ- ჩვევების შეძენა და გამოყენება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა აქტიურად ხელს უწყობს საჯარო ლექციების, ტრენინგების ჩატარებას, რაც ეხმარება სტუდენტს დისკუსიის, მსჯელობისა და სხვა უნარების შეძენაში. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტური კონფერენციების ორგანიზებაზე და სტუდენტთა მონაწილეობაზე აღნიშნულ ღონისძიებებში. წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ბოლო 2 წლის განმავლობაში პანდემიით შექმნილი პირობების მიუხედავად ჩატარდა 60-ზე მეტი ღონისძიება სტუდენტებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს მათი დარგობრივი ცოდნის და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა 2018 წელს შვედეთის ინსტიტუტის მხარდაჭერით და გოტენბურგის უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სკოლასთან პარტნიორობით ჯიპა-ს მიერ ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის ორგანიზებული საზაფხულო სკოლა „Migration and Integration in the Eastern Partnership and the Baltic Sea Region: Policy and Administrative Challenges for the Development of Inclusive Societies“ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შესაბამისად, ფაკულტეტი ხელს უწყობს სტუდენტების საგანმანათლებლო და პროფესიულ განვითარებას; ზრდის საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებს მათთვის მობილობისა და გაცვლითი პროგრამების სახით. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება სრულად და ნაწილობრივ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებში, რის შედეგადაც უშუალოდ ექნებათ შესაძლებელობა შეისწავლონ საუკეთესო გამოცდილება მიმღებ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ფარგლებში კვლევითი, პრაქტიკული, ტრანსფერული და შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კურიკულუმის გარეთ განხორციელებული ღონისძიებების ჩამონათვალი;
- პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- დაწესებულების მიერ წარდგენილი თანამშრომლობის მემორანდუმები;
- ჩატარებული ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მიხედვით სასწავლო პროცესის განსახორციელებლად გათვალისწინებულია შემდეგი სწავლა-სწავლების მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა. ამავე დროს, სილაბუსებით გათვალისწინებული მეთოდები მეტად მრავალფეროვანია. მთავარი აქცენტი ცოდნის დაუფლებასთან ერთად კეთდება სტუდენტის უნარ-ჩვევების გამუშავებაზე შემდეგი მეთოდების საშუალებით: ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ანალიზის მეთოდი, ჯგუფში მიმდინარე პრაქტიკული მეცადინეობა, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

სასწავლო პროცესი სრულად ორიენტირებულია სტუდენტზე და ითვალისწინებს ამ უკანასკნელის ინტერესებსა და მოთხოვნებს. ყოველკვირეულ რეჟიმში, სტუდენტებს შესაძალებლობა აქვთ გაეცნონ და გაანალიზონ დარგისთვის მიმდინარე პროცესები და ახალი განვითარებები.

მისასალმებელია, რომ რიგი სასწავლო კურსების ფარგლებში, რომლებიცაა „პრეზენტაციის უნარები“, „ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორია“, „ადამიანის უფლებები“, „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში“ გამოიყენება ინტერაქტიული მეთოდი, რომელიც ითვალისიწნებს ცალკეული საკითხების თეორიულ გააზრებას,

განზოგადებას. შემდგომ, ჯგუფში მუშაობის დროს ხდება მიღებული ცოდნის გაღრმავება და დაკონკრეტება; დისკუსია/დებატები, მკვეთრად აამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას, განუვითარებს მათ კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება უპირატესად გამოყენებულია სემინარების ფარგლებში, როდესაც ლექტორი და სტუდენტი აქტიურად არის ჩართული სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია ქართულ კონტექსტში. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) გამოიყენება ლექციის ფორმატში სააუდიტორიო მუშაობაში ახალი კვლევის თემის შემოტანისას, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყისად იყენებს პრობლემას. საერთო ჯამში, სასწავლო კურსებში მოცემული მეთოდების ანალიზმა ცხადყო, რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები, ერთი მხრივ, შეესაბამება კურსის/კომპონენტის შინაარსს, ხოლო, მეორე მხრივ, მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ ლექტორს აქვს ავტონომიურობა, აირჩიოს ის სწავლების მეთოდი/მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო კურსის შინაარსის ეფექტიან ათვისებას. პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულია სტუდენტების ინდივიდუალური მოთხოვნებიც. მაგალითად, ინკლუზიური განათლების გასაძლიერებლად ჯიპა ჩაერთო ERASMUS+“-ის საგრანტო პროექტში ,,უკეთესი კომუნიკაციის ხელშეწყობა (ABC)“, რომლის ფარგლებშიც კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების დარღვევების მიმართულებით შესაბამისი საგანმანათლებლო მოდულებისა და პროგრამის შემუშავების გარდა, განხორციელდა სპეციალური აღჭურვილობის შეძენა და სპეციალისტების მომზადება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები; • პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ERASMUS+“-ის საგრანტო პროექტში ,,უკეთესი კომუნიკაციის ხელშეწყობა (ABC)“; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაში, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე სასწავლო კომპონენტში ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 შესაბამისად.

საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო სილაბუსი გულისხმობს სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასებას შუალედური და დასკვნითი შეფასებით, მათი ჯამით სტუდენტს ენიჭება საბოლოო შეფასება მაქსიმუმ 100 ქულის ოდენობით.

პროგრამაში გათვალისწინებულია შეფასების მეთოდები, ტესტი, ქვიზი, პრეზენტაცია, დისკუსია, ესე, სხვადასხვა პრაქტიკული და თეორიული დავალებები და სხვა. ქულათა დეტალური განშლა მოცემულია პროგრამით გათვალისწინებულ თითოეულ სილაბუსში. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების შემთხვევაში. პროგრამის შეფასების სისტემა უშვებს ხუთ დადებით და ორ უარყოფით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, შეფასების გაუმჯობესებისთვის, სტუდენტს ენიშნება დამატებითი გამოცდა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. რომლის დათვლა ხდება დაანგარიშების ზოგადი წესის შესაბამისად.

„სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4

B = 3, 2

C = 2, 4

D = 1, 6

E = 0, 8

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ზოგადი პოლიტიკით, მათ შორის, საბაკალავრო სწავლების საფეხურზე, გათვალისწინებულია დასწრება-აქტივობის კომპონენტი. კერძოდ, თუ სტუდენტი სემესტრის მანძილზე არ დაესწრება სააუდიტორიო მეცადინეობების 33%-ზე

მეტს, მას კურსი ავტომატურად განულებულად ეთვლება და იძულებული ხდება დამატებითი გადასახადის გადახდის შემდეგ (გადასახადი დგინდება კურსის განმავლობაში მისანიჭებელი კრედიტების შესაბამისად), მას შეუძლია მეორედ გაიაროს შესაბამისი კურსი.

ზემოთ ნახსენები N3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით:

" შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის".

ასევე ამ ბრძანების მიხედვით:

"კ) შეფასების კომპონენტები – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, სპექტაკლი, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.),

ლ)შეფასების მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ);“

აღნიშნული ბრძანების შინაარსის შესაბამისად, აუდიტორიულ მეცადინეობებზე "დასწრება", ვერ იქნება შეფასების კომპონენტი ან მეთოდი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს შეეზღუდება კრედიტის მინიჭება. სტუდენტისთვის კრედიტის მინიჭება დამოკიდებული უნდა იყოს მრავალკომპონენტიან შეფასების სისტემაზე (სასემინარო აქტივობები, დავალებები, შუალედური და ფინალური გამოცდების ქულების ჯამი), რომელიც შეაფასებს სტუდენტის ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს. შესაბამისად, რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტთა შეფასებისას არ გაითვალისწინოს სემინარზე დასწრების კომპონენტი. თუ უნივერსიტეტს მიაჩნია, რომ სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სასწავლო მასალა შესაბამისად ვერ დაიფარება სტუდენტთა დასწრების გარეშე, შესაძლებელია შუასემესტრულ აქტივობებს ჰქონდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც სასემინარო აქტივობებში ჩართულობის გარეშე სტუდენტი ვერ გადალახავს (თუ სტუდენტი არ ივლის ვერ იაქტიურებს, დისკუსიაში ვერ ჩაერთვება და ა.შ) რაც ლექცია-სემინარების გაცდენის პრევენციასაც მოახდენს.

სწავლის შედეგების შეფასებისთვის, გაოიყენება მინიმუმ სამ კომპონეტიანი შეფასება(შუალედური/დასკვნითი). ყველა შეფასება თავსდება ელექტრონულ ბაზაში mb.gipa.ge თანდართული კომენტარებით. ბაზაში ყველა სტუდენტს საკუთარი გვერდი აქვს და აქ შესაძლებლობა ეძლევა გაეცნოს თავის აკადემიურ მიღწევებს, აკონტროლოს ფინანსური მდგომარეობა და სხვა. ამავე ბაზით, წვდომა აქვს უნივერსიტეტის მიერ შეძენილ ელექტრონულ-სამეცნიერო ბაზებზე.

ცალკეულ სილაბუსებში ვხვდებით გარკვეულ უზუსტობებსაც. სავალდებულო საგნის „მსოფლიო ისტორიის ძირითადი მოვლენები“ სილაბუსში, შეფასების კომპონენტის ნაწილში, ქულათა პროცენტული გადანაწილება, ჯამში, 110 %-ია, მაშინ, როდესაც მაქსიმალური ჯამური შეფასება 100 % უნდა იყოს. ანალოგიურად, სილაბუსში „პოლიტიკური სოციოლოგია და ანთროპოლოგია“, ქულათა ჯამი 108%-ია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რეკომენდაცია გაცემულია 2.3. ნაწილში.

სტუდენტთა უფლებების დაცვის მიზნით, მათ საშუალება ეძლევათ გაასაჩივრონ

არასასურველი შეფასება შედეგების გაცნობიდან სამი დღის ვადაში. პროცედურა ნათელი, გამჭვირვალე და სამართლიანია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • თვითშეფასების ანგარიში; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება; • სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა; • ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა სტუდენტთა შეფასებისას არ გაითვალისწინოს სემინარზე დასწრების კომპონენტი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის		X		

შესაბამისობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი დროულად იღებს ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ აქტივობებზე, სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე ყველა საჭირო ინფორმაციას. უნივერსიტეტში დანერგილია და გამართულად ფუნქციონირებს სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული სერვისები. ინტერვიუების საფუძველზე, ასევე, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის სტუდენტები უწყვეტ რეჟიმში იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, გაცვლითი პროგრამების, საერთაშორისო/ადგილობრივი კონფერენციების, აკადემიური და ადმინისტრაციული სიახლეების შესახებ. უნივერსიტეტი იყენებს სტუდენტურ ბაზას lmb.gipa.ge, რომლის მეშვეობითაც, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ თვალი ადევნონ საკუთარ აკადემიურ მდგომარეობას. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისგან მუდმივად იღებენ უკუკავშირს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და კონკრეტულ სასწავლო კურსებში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ. სტუდენტებთან კომუნიკაციის მიზნით, უნივერსიტეტი ასევე იყენებს სხვადასხვა თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებსაც. ინფორმაცია მუდმივად ახლდება უნივერსიტეტის ვებ-გვერძე და სტუდენტებს სიახლეები ეგზავნებათ მეილის საშუალებითაც. სერვისების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, პროგრამის კოორდინატორები პირდაპირ კონტაქტში არიან სტუდენტებთან და აწვიან მათ ინფორმაციას ყველა სიახლეზე - როგორიცაა ცვლილება განრიგში, დაგეგმილი შეხვედრა უნივერსიტეტის მიერ მოწვეულ სტუმრებთან, დაგეგმილი სპორტული ღონისძიება, გაცვლითი პროგრამები ან სწავლის დაფინანსების შესაძლებლობა და სხვა. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებს, შესაბამისად საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს საშუალება აქვთ კონსულტაია გაიაონ აკადემიურ პერსონალთან, კურსის ფარგლებში არსებული საკითხების ირგვლივ. გაწერილი საათების გარდა, სტუდენტებს შეუძლიათ სატელეფონო კომუნიკაციით ან იმეილის საშუალებით ეკონტაქტონ ლექტორებს. უნივერსიტეტი ყოველი სემესტრის ბოლოს, სპეციალური კითხვარების მეშვეობით ახორციელებს სასწავლო პროცესისი ხარისხის მონიტორინგს.

GIPA-ში არსებობს სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ცენტრის პროფესიონალი კადრების კონსულტაციებით. სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი მუდმივად აწვდის ინფორმაციას სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მათთვის საინტერესო ვაკანსიების, სტაჟირების პროგრამებისა ან/და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობების შესახებ ბაზაში არსებული მეილების საშუალებით.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელის და მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორს. მათთან გასაუბრების და უნივერსიტეტის მატერიალურ- ტექნიკურ ბაზაზე დაკვირვებით ნათელია, რომ უნივერსიტეტს აქვს გამართული საბიბლიოთეკო რესურსები, შეძენილი აქვს სამეცნიერო ბაზები და ყველა ამ რესურსზე წვდომა სტუდენტს დისტანციურადაც შეუძლია.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში დანერგილია სტიპენდიის პროგრამა. სტუდენტებს აკადემიური მოსწრების (GPA-ს) შესაბამისად შესაძლებლობა აქვთ შეღავათები მიიღონ სწავლის გადასახადზე.

უნივერსიტეტი ცდილობს ხელი შეუწყოს სტუდენტთა ჩართულობას გაცვლით პროგრამებში. შედეგის მისაღწევად, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ენების ცენტრი. მიუხედავად ყველანაირი ხელეწყობისა, სტუდენტთა ინტერესი გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად, დაბალია.

პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ, დაინტერესების შემთხვევაში, სხვა პროგრამებიდან აირჩიონ საინტერესო სასწავლო კურსები, რაც მეტად საინტერესოს და მრავალფეროვანს გახდის საბაკალავრო სწავლებას, თუმცა პრგრამით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების რაოდენობრივი მოცულობა იმდენად მაღალია, რომ სტიდენტს ნაკლებად უტოვებს შესაძლებლობას გაიაროს სხვა პროგრამის საგანი ან, თუნდაც, გაისაზღვროს მეორადი სპეციალობა.

შეფასების გასაჩივრების კუთხით, უნივერსიტეტში დანერგილია და მოქმედებს სამართლიანი და გამჭვირვალე კულტურა. სტუდენტებმა იციან პროცედურა და იყენებენ შეთავაზებულ მექანიზმს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პარტნიორი ინსტიტუციების მემორანდუმები;
- ვიზიტის პროცესში მიმდინარე ინტერვიუები;
- <u>უნივერსიტეტის ვებ-გვერდი</u>

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი შედგება 49 წევრისაგან (27 აკადემიური პერსონალი, ყველა აფილირებული სტატუსით - 11 პროფესორი, 10 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი, 4 ასისტენტი და 22 მოწვეული პერსონალი). პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 1 უცხოელი პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 5 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. აღსანიშნავია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ გამოგზავნილი პირადი საქმეები მოიცავს სრულყოფილ მონაცემებს.

აკადემიური პერსონალის გუნდი დაკომპლექტებულია უმეტესწილად პოლიტიკის მეცნიერებათა, საერთაშორისო ურთიერთობების, სოციალურ მეცნიერებათა, ისტორიის და სახელმწიფო მართვის სფეროს სპეციალისტებით - მათი კვალიფიკაცია რელევანტურია დარგისთვის და განსახორციელებელი სასწავლო კურსების შინაარსისთვის. შთამბეჭდავია აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში ჩართულობის მაჩვენებლები, რაც იკვეთება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეებიდან, ასევე წარდგენილი დოკუმენტაციიდან უნივერსიტეტის მიერ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვლევით ღონისძიებებში მონაწილეობის ფინანსური სრული ან ნაწილობრივი მხარდაჭერის შესახებ (მაგალითად, კონფერენციები, კვლევითი ვორკშოპები ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა უკრაინა (უკრაინის კატოლიკური უნივერსიტეტი), შვედეთი (გოტენბურგის უნივერსიტეტი), პოლონეთი (ვროცლავის უნივერსიტეტი), ოლდენბურგი, ბერლინი (გერმანია), მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი), ალიკანტეს უნივერსიტეტი (ესპანეთი) და სხვა. ხაზგასასმელია, დარგში აქტუალურ საკითხებზე პროგრამის აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები, კვლევით გრანტებში მონაწილეობა (დაფინანსება ისეთი ორგანიზაციების მიერ როგორიცაა შვეიცარიის ეროვნული ფონდი, ნატოს სამოკავშირეო ოფისი, იაპონიის საელჩო, გაეროს განვითარების ფონდი, ევროპის საერთაშორისო ურთიერთობების საბჭო და სხვა). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს დარგის განვითარებისთვის აუცილებელ ცოდნას და აქვს ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილება.

როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე აკადემიური/მოწვეული პერსონალი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო პროექტებში, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე განხორციელებული ინტერვიუებით.

საერთო ჯამში, პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვლევითი და პროფესიული გამოცდილება უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის შედეგების მიღწევას, მის წარმატებულ ფუნქციონირებას და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას.

თვითშეფასების ანგარიშში წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით, პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით მოთხოვნილი დოკუმენტაციის გაგზავნის დროს აქტიურ სტატუსს ფლობს 43 სტუდენტი. პერსონალის და სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე ცხადია, რომ პროგრამის სტუდენტები ჯიპა-ს მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (2018 წელი);
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან სესიების ფარგლებში;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა - შაბლონი;
- პროგრამაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები;
- ადმინისტრაციული, აკადემიური (აფილირებული), მოწვეული პერსონალის ღონისძიებებში მონაწილეობა.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

დაინიშნა პროგრამის ახალი ხელმძღვანელი, გაიზარდა პროგრამის განმახორციელებული აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა.

შეფასება:

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც გამოვლინდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებიდან და შესწავლილი დოკუმენტაციიდან პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება რეგულარულად ხდება. შეფასების მექნიზმები დეტალურად აღწერილია პერსონალის მართვის წესის დოკუმენტში (2018 წლის) და გულისხმობს სხვადასხვა პოზიციის თანამშრომლების საქმიანობის ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას, რომელიც ხორციელდება წელიწადში ერთხელ (სასწავლო წლის ბოლოს).

აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მონიტორინგის მიზნით უნივერსიტეტში გამოიყენება რამდენიმე კომპონენტი, როგორიცაა საერთაშორისო

კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობა; ადგილობრივ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობა; გაცვლითი პროგრამები სხვადასხვა საერთაშორისო უმაღლეს სასწავლებლებსა და კვლევით ორგანიზაციებში; ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა; უნივერსიტეტის ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრში დაგეგმილ სასწავლო კურსებში ჩართვა და სხვა.

ჯიპა-ს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროების ინიცირება ხდება მისი უშუალო ხელმძღვანელის მიერ. ამის გარდა, შეფასების პროცესი დეტალურად გაწერილია აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში. გასაუბრებების დროს გამოვლინდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროცედურის შესახებ ინფორმირების მაღალი დონე. მიუხედავად აღნიშნულისა, სასურველია, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია დაგეგმილი კვლევით-სამეცნიერო ღონისძებებში ჩართულობის შესახებ.

წარდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს 2012-2018 წლების პერსონალის საქმიანობის ანგარიშს, ასევე 2018 წლიდან დღემდე ანგარიშს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კვლევის დეპარტამენტი, რომლის წარმომადგენელთან შედგა გასაუბრება აკრედიტაციის ვიზიტის ერთ-ერთი სესიის ფარგლებში. თვითშეფასების და პერსონალის საქმიანობის ანგარიშში ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით დეპარტამენტის დაარსების შედეგად უნივერსიტეტის მასშტაბით აღინიშნება საგრანტო დაფინანსების ზრდა (2020 წელი), სამოგზაურო გრანტების უზრუნველყოფის გაუმჯობესებული მაჩვენებლი (7.000 ლარი თითო სკოლის შემთხვევაში).

უნივერსიტეტში ხორციელდება შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ინიციატივით, ინტერდისციპლინური ვლევითი პროექტების შესაძლებლობისა და დისციპლინებს შორის მეტი გადაკვეთისა და სოციალურ მეცნიერებათა პრობლემური საკითხების ინტერდისციპლინური რაკურსით კვლევის მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტმა საუნივერსიტეტო შიდა საგრანტო დაფინანსების მხარდაჭერის კრიტერიუმად აუცილებელი სახით შემოიტანა ინტერდისციპლინურობის კრიტერიუმი, რაც ახალისებს სკოლებს შორის თანამშრომლობას.

მნიშვნელოვანია, რომ წელიწადში ორჯერ უნივერსიტეტის აკადემემიურ პერსონალის წარმომადგენლებს შეუძლიათ განაცხადი შეიტანონ და მიიღონ მონაწილეობა კონკურსში ელექტრონულ სახელმძღვანელოებზე (3 პროექტი ყოველწლიურად) სამუშაოდ.

კვლევების დეპარტამენტის გარდა უნივერსიტეტში დაარსდა პოლიტიკის შეფასების ცენტრი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ანალიტიკური დოკუმენტაციის ხარისხის გაუმჯობესებას უნივერსიტეტისთვის სხვადასხვა რელევანტურ დარგში. უნივერსიტეტის აკადემიურ, ადმინისტრაციულ და მოწვეულ პერსონალს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგებში, რომლის ორგანიზებას და კოორდინირებას უზრუნველყოფს Teaching Excellence Center. ღონისძიებების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია თვითშეფასების ანგარიშის ფარგლებში.

საუკეთესო პრაქტიკად ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია ის, რომ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობა აქვთ კვლევის შედეგები გამოაქვეყნონ ინგლისურენოვან რეფერირებად სამეცნიერო ელექტრონულ ჟურნალში „Journal of Politics and Democratization“ -http://jpd.gipa.ge/ (E-ISSN 24492671), რომელიც შეიქმნა შეერთებული შტატების ტროის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საფუძველზე ერთობლივი სარედაქციო კოლეგიის პირობებში.

მისასალმებელია, რომ 2021 წლიდან აშშ-ის საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა

განყოფილების მიერ გამოცხადებული ამერიკელი ავტორების წიგნის თარგმნის პროგრამის კონკურსში მონაწილეობის მიზნით მოხდა აკადემიური პერსონალისთვის მხარდაჭერის უზრუნველყოფა ყოველწლიურად 15 ათასი ლარის ოდენობით (თანადაფინანსების პირობის დაცვის მიზნით). აღსანიშნავია, რომ სოციალურ მეცნიერებათა სკოლის შემთხვევაში დაფინანსდა კვლევითი პროექტი სახელწოდებით COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციისადმი დამოკიდებულების ფსიქოლოგიური და სოციო-დემოგრაფიული პრედიქტორები. ასევე, უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ KA2 პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანია 12 წევრი უნივერსიტეტების კვლევითი სამსახურების მოდერნიზაცია, კვლევითი პოტენციალისა და ხარისხის გაზრდა, სწავლებისა და კვლევის კომპონენტების ინტეგრირება ინსტიტუციურ დონეზე. საერთო ჯამში, ინტერვიუების და წარდგენილი დოკუმენტაციის შესცავლის შედეგად დადასტურდა ის ფაქტი, რომ სოციალურ მეცნიერებათა სკოლას გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების ხელშეწყობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვოს სქემის შაბლონი; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები; • აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების წლიური ანგარიშგების ფორმა; • პერსონალის საქმიანობის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება 2018-დღემდე; • პერსონალის საქმიანობის შეფასება 2012- 2018 წლები; • საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სკოლის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია დაგეგმილი კვლევით-სამეცნიერო ღონისძებებში ჩართულობის შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): მისასალმებელია, რომ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შესაძლებლობა აქვს კვლევის შედეგები გამოაქვეყნოს ინგლისურენოვანი რეფერირებადი სამეცნიერო ელექტრონულ ჟურნალში „Journal of Politics and Democratization“, რომელიც შეიქმნა შეერთებული შტატების ტროის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საფუძველზე ერთობლივი სარედაქციო კოლეგიის პირობებში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვინაიდან, პანდემიით შექმნილი მდგომარეობის გამო, პროგრამის შეფასება განხორციელდა თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Zoom პლატფორმის) მეშვეობით, ჩატარებული ინტერვიუების და პროგრამის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მატერიალური რესურსის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან. სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერება ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაიგეგმა ვირტუალური ტურის მეშვეობით, ხოლო უნივერსიტეტის მიერ საბიბლიოთეკო ფონდის და ელექტრონული ბაზების უზრუნველყოფა შეფასებული იქნა საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელთან და მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორთან გასაუბრების ფარგლებში. შემოწმდა ბიბლიოთეკაში პროგრამისათვის აუცილებელი საკითხავი მასალის ხელმისაწვდომობა, სახელმძღვანელოები ქართულ და უცხოურ ენებზე და რიდერები, რომელიც შეიძლება, მოძიებული იქნას ონლაინ-კატალოგით. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის ფუნქციონირებს საუნივერსიტეტო ერთიანი ელექტრონული სისტემა LMB, სადაც იტვირთება სასწავლო მასალები, სილაბუსები და შეფასებები. ასევე, უნივერსიტეტში არსებული ლიტერატურის ფონდის აღრიცხვა და შენახვა ხდება პროგრამა KOHA-ს მიერ. მნიშვნელოვანია, რომ ერასმუს + პროექტის ფარგლებში რამდენიმე ქართულ უსდ-ს შორის შეძენილი იქნა პლაგიატის შემოწმების წამყვანი პროგრამა TURNITIN, რომელსაც ჯიპა აქტიურად იყენებს არსებული პროგრამების ფარგლებში აკადემიური სტანდარტების დაცვის და შემოწმების მიზნით. მისასალმებელია სწავლის პროცესში საკვანძო მასალების თარგმნის პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფილია როგორც ცალკეული პროექტების შემთხვევაში, ასევე სკოლის ბიუჯეტით. როგორც დადგინდა ინტერვიების შედეგად, პროგრამაში ჩართულ პერსონალს (როგორც აკადემიურ, ასევე მოწვეულს) შეუძლია მათთვის ნებისმიერი ლიტერატურა შეუკვეთონ. ბიბლიოთეკა ინტეგრირებულია საერთაშორისო ბიბლიოთეკის ქსელში და აქვს წვდომა სპეციალიზებულ ელექტრონულ რესურსებზე, როგორიცაა (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e- Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e- books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Open edition Journals; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტებს აქვთ წვდომა საბიბილიოთეკო ფონდთან და ონლაინ ბაზებთან დისტანციურ რეჟიმშიც. წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ბიბლიოთეკა

სრულყოფილადაა გამართული ინფრასტრუქტურულადაც (მაგიდები, სკამები, კარადები, კომპიუტერი და ა.შ.) გასაუბრებების დროს გაირკვა, რომ აკადემიური პერსონალისათვის გამოყოფილია სამუშაო სივრცე, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ნივთებით თუ ტექნიკით. შენობა-ნაგებობის შესახებ, რომელშიც ხორციელდება პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა, დოკუმენტაცია სრულყოფილად წარდგენილია დაწესებულების მიერ. აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით (კომპიუტერები, ლეპტოპები; პროექტორები), რომელიც აქტიურად გამოიყენება ლექციების მიმდინარეობისას. წესრიგშია საევაკუაციო სისტემა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუები მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერების/შემოწმების სესიის ფარგლებში; • შენობა-ნაგებობის საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი - იეთიმ გურჯის შენობა, გორგასლის შენობა (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან); • საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ინტერვიუ პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორთან და IT დეპარტამენტის წარმომადგენელთან; • პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი არის არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, შესაბამისად ორგანიზაციის მიზანს არ წარმოადგენს მოგების მიღება.

პროგრამის რეაკრედიტაციისთვის გამოგზავნილი დოკუმენტაციის ფარგლებში წარდგენილი იქნა პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს ჯამურ ინფორმაციას ყველა გათვალისწინებული ხარჯების და შემოსავლების 2021-2022 და 2022-2023 აკადემიური წლების ფარგლებში. ყველაზე მსხვილი თანხა გამოყოფილია აკადემიური, მოწვეულის და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებისთვის (ხარჯების 59%). კვლევები, კონფერენციები (წინამოსამზადებელი სამუშაო) და კურიკულუმების განახლება; სტუდენტური ფონდი; ლიტერატურა და საკანცელარიო ნივთებისა შეადგენს მთლიანი ხარჯების 18,7%. აღნიშნული თანხის ნაწილი გამოიყენება სტიპენდიების და შერავათებისთვის. ასევე სხვა ხარჯებისთვის გათვალისწინებულია დანარჩენი 22,5%.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 43 სტუდენტს, ამავე დროს 2021-2022 და 2022-23 აკადემიური წლებში პროგრამის ბიუჯეტში წარდგენილი მონაცემთა მიხედვით პროგრამის მდგრადობა უზრუნველყოფილია 72 სტუდენტის შემთხვევაში, რაც ეჭვს ბადებს პროგრამის ფინანსურ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით სტუდენტების სტაბილურად ნაკლები რაოდენობის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანთან გასაუბრების ფარგლებში გაირკვა, რომ პროგრამის დამატებითი ფინანსური საჭიროებები შეილება უზრუნველყოფილი იყოს სკოლის ან უნივერსიტეტის სხვა ფონდებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი 2021-2022, 2022-2023;
- პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის და სკოლის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, ფინანსური მდგრადობის დასადგენად პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული სტუდენტთა მინიმალური საჭირო რაოდენობა (Break-even) გამოთვლილი იქნას პროგრამის აქტიური სტატუსით სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე. პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია 72 სტუდენტის შემთხვევაში, თუმცა, პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის აქტიური სტატუსი მქონე სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 43-ს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“. უსდ-ში ფართოდ არის გამოყენებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ხარისხის სახელმძღვანელო. აღნიშნულ დოკუმენტში თავმოყრილია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონითა და აკრედიტაციის სტანდარტებით განსაზღვრული ძირითადი მოთხოვნები. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ

პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული პერსონალი და სხვა დაინტერესებული მხარეები. ხარისხის მექანიზმები ითალისწინებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის თანამშრომლობას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას. სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით, მოწმდება საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები, ლექტორების მუშაობის ეფექტიანობა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობა და მასთან დაკავშირებული სხვა გარე და შიდა ფაქტორები. უსდ-ს ასევე დანერგილი აქვს ჯვარედინი შეფასების სისტემა, რაც გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლების, სკოლების პროგრამების ხელმძღვანელებისა და კოორდინატორების მიერ ერთმანეთის სასწავლო პროგრამების შეფასებას, რაც ნამდვილად მისასალმებელი პრაქტიკაა და ხელს უწყობს შეფასების პროცესის შემდგომ განვითარებას კოლეგიალური შეფასების ფარგლებში.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართულნი იყვნენ როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროგრამის განხორციელების შეფასებისას გაკეთებული რეკომენდაციები პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით, გარე შეფასება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა ან სხვა დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის მონაცემები გამოიყენება ცვლილებების განხორციელებისა და სწავლა/სწავლების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.

როგორც ონლაინ ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა და პროგრამაზე თანდართულმა დოკუმენტებმა ცხადყო, პროგრამის განვითარებისა და განხორციელების პროცესში გამოყენებულია სტუდენტების/კურსდამთავრებულების/დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები. პროგრამის ხარისხის განვითარებისათვის ეტაპობრივად ასევე ტარდება შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით. თუმცა, როგორც გამოვლინდა, არსებობს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გარკვეული კოორდინაციის ნაკლებობა. განსაკუთრებით სილაბუსების ფორმირებისა და სასწავლო კურსების საკონტაქტო საათების განსაზღვრის მიმართულებით. რეკომენდებულია ხარისხის სამსახური არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფორმალური მექანიზმების არსებობით და უფრო გააქტიურდეს ურთიერთთანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან, რათა რეალურად იყოს ორიენტირებული პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაზე და პროგრამის განვითარების გზების დასახვაზე.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლის ფარგლებში, ასევე სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ტრენინგების ორგანიზება სილაბუსების ფორმირებასა და აუცილებელ ელემენტებთან მიმართებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

• პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში 2019-2021 წწ.;
• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური გამოკითხვების ანალიზის ანგარიშები
• ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

• რეკომენდებულია, ხარისხის სამსახური არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფორმალური მექანიზმების არსებობით და უფრო გააქტიურდეს ურთიერთთანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან, რათა რეალურად იყოს ორიენტირებული პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაზე და პროგრამის განვითარების გზების დასახვაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

• სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ტრენინგების ორგანიზება სილაბუსების ფორმირებასა და აუცილებელ ელემენტებთან მიმართებაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს და გარე ექსპერტის შეფასებას. პროგრამაზე თანდართული დოკუმენტებისა და ონლაინ ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, გამოიკვეთა პროგრამაში გარე შეფასების კომპონენტების გათვალისწინება: სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან 2018 წელს აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები და გარე ექსპერტის შეფასება. პროგრამის განვითარების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სილაბუსების, ლიტერატურის დაზუსტების, ტექნიკური ხარვეზების გამოსწორებისა და შეფასების კომპონენტების აღწერის რეკომენდაციები.

განვითარების ციკლის უწყვეტობიდან გამომდინარე, ინსტიტუცია გამოხატავს მზაობას აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იყოს პროგრამის

შემდგომი განვითარების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - პოლიტიკის მეცნიერებები • საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება • პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში 2019-2021 წწ.; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური გამოკითხვების ანალიზი • გამოკითხვის შედეგები • გარე ექსპერტის შეფასება • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შემოწმების მიზნებისათვის აწარმოებს კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური, მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით), პროგრამის შემუშავების/ცვლილებების განხორციელებისას მათი მოსაზრებების გათვალისწინების მიზნით. შეხვედრები და კონსულტაციები მიმდინარეობს ძირითადად მრგვალი მაგიდის ფორმატით და ითვალისწინებს ყველა შესაძლო დაინტერესებული მხარის ჩართულობას.

გარდა ამისა, ტარდება გამოკითხვები აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართულობით, ხდება შესაბამისი მონაცემების გაანალიზება და შემდგომი საჭიროებების იდენტიფიცირება. სასწავლო პროცესის მონიტორინგი გულისხმობს სტუდენტთა და ლექტორთა შეფასებას, კოლეგიალურ შეფასებას, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს, კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და შემდგომი სწავლის გაგრძელების მაჩვენებელს და სასწავლო პროცესის განმახორციელებელ პერსონალთან მუდმივ უკუკავშირსა და შეხვედრებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სისტემატიურ მონიტორინგს შესაბამისი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით პროგრამის ხელმძღვანელსა და კოორდინატორთან ერთად.

პროგრამის განხორციელების პროცესში, სტუდენტთა გამოკითხვისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე. აღნიშნული შეფასების მექანიზმების გამოყენებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა საფუძველზეც ხდება პროგრამის განვითარება.

ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების სამუშაო ეტაპზე, რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შრომის ბაზრის კვლევისა და სფეროს წარმომადგენლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე მხედველობაში მიიღება რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესებისათვის, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ხორციელდება ადგილობრივი ანალოგი პროგრამების შესწავლა და საგანმანათლებლო პროგრამის დადარება საერთაშორისო ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კონკრეტულ შემთხვევაში, მოკვლეულ იქნა რამდენიმე ადგილობრივი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი) და საერთაშორისო უნივერსიტეტების (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ვალენსიას უნივერსიტეტი, ტროის უნივერსიტეტი) გამოცდილება პოლიტიკური მეცნიერებების პროგრამებთან მიმართებით. საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის კონცეფცია დიდწილად მსგავსია შესწავლილი პროგრამებისა. აღნიშნულ პროგრამებთან სიახლოვე, მულტიდისციპლინური მიდგომა, ტრანსფერული უნარების განვითარების მიმართულებები ადასტურებს გამოცდილების გაზიარების მიდგომას.

გარდა ამისა, გარე შეფასების ფარგლებში პროგრამა გაეგზავნა ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორს. ექსპერტის შეფასებით, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა სრულად შეესაბამება როგორც სწავლების საბაკალავრო საფეხურის სტანდარტებს, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზის შესაბამისად, მიზნები, შედეგები, სტრუქტურა და განმახორციელებელი პერსონალი შეფასდა დადებითად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - პოლიტიკის მეცნიერებები • საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება • პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში 2019-2021 წწ.; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური გამოკითხვების ანალიზი • გამოკითხვის შედეგები • გარე ექსპერტის შეფასება • ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი • საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის

	შია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა, დონე 6

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 46

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა გვანცა აბდალაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ივანნა მაჩიტიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამთა ცხოვრებაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თეონა კუპრაძე